ს ს ი პ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

29. 10. 2015 № 212

თბილისი

სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
დირექტორის ვაკანტური თანამდებობის
დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის #133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2015 წლის 29 ოქტომბრის #01/01-63წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებელი დანართი №1-ით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2015 წლის 5 ნოემბერს და დასრულდეს 2015 წლის 12 ნოემბერს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სამდივნოში ყოველ დღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, $10^{00}$-დან $17^{00}$-მდე.) მის: აღმაშენებლის გამზ. #150 ა, საკონტაქტო პირი გივი ფიფია 593 734 927).
3. არჩევნები ჩატარდება 2015 წლის 13 ნოემბერს.
4. განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

*დანართი #1*

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი**

**საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) ინსტიტუტის პროფილით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი;

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

დ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) სამოქმედო პროგრამა.